სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

04 / ნოემბერი / 2024 წ.

KA080176782342424

№ **2965**

განკარგულება

შპს „ჯორჯია ბილდინგ გრუპის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 29 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა შპს „ჯორჯია ბილდინგ გრუპის“ (ს/ნ: 422937273) 2024 წლის 29 ოქტომბრის № 086 მომართვა (რეგისტრაციის № 8922), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. მიმწოდებელმა 2024 წლის 1 ნოემბერს წარმოადგინა 2024 წლის 1 ნოემბრის № 088 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 9083), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2024 წლის 30 ოქტომბრის № 3099 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ჯორჯია ბილდინგ გრუპი“ (ს/ნ: 422937273) 2024 წლის 5 ნოემბერს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე